ეროვნული
ბიბლიოთეკა

ნაპერწალი

საუმანწვილო ჟურნალი მცირეწლოვანთათვის

1920 წ. თებერვალი № 4.

ᲬᲘᲬᲐᲚᲘ

ᲬᲘᲬᲐᲚᲘ ᲛᲔ-XVI. № 4. ᲗᲔᲑᲔᲠᲕᲐᲚᲘ, 1920 წ.

გააჯავრეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შინაარსი:

I. გააჯავრეს—სურათი, ... 1

II. ვახტუ,—ლექსი ი. სიხარულიძისა 3

III. ერთგულება,—ბაჩანასი 5

IV. ნაპოვნელა,—(დასასრული,) ზღაპარი გ. ჯოჯელიშვილისა . 15

V. მჭედელი,—ლექსი შიო მდივანელისა 20

VI. ქათმები და ცხენი,—(იგავ-არაკი) ალ. მირიანაშვილისა . . 21

VII. ჩვენებური ფრთოსნები: მოლალური,—ვ. საყვარელიძისა . 22

VIII. გასართობი: სახუმარო გამოცანა, რებუსი და ახსნა . . . 24

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ვასტუ.

(ჩემს ბიჭიკოს).

ჯ, რა ცელქი რამ არის
ბაწაწა ვასტუნია!
მუდამ დასტის, მიტომაც
დაარქვეს მას სტუნია;

არ იქნება, რომ დღისით
დაჯდეს, მუხლი მოდუნოს,
მუდამ უნდა იცელქოს,
მუდამ უნდა ისტუნოს.

ყველაფერი სურს ნახოს,
გასინჯოს და გაიცნოს,
ძაღლს თავზე ქუდს ახურავს,
კატა უნდა ჩაჭიოცნოს;

მუდამ ფაცაფუცშია,
მუდამ გარჯილობაში;
აბა, ტოლი ხომ არ ჰყავს
სიმღერა-გალობაში;

სულ ყველაფერს გიჩვენებს,
თანაც დაგისახელებს;
ნახეთ მისი ალერსი,
ყელზე რომ მოგხვევს ხელებს:

ეროვნული ბიბლიოთეკა

გკოცნის, გეალერსება,
ეფერებში გიფურჩულებს,
ამბებსაც მოგიყვება,
ჭიკჭიკებს და ქღურტულებს!..

დიდხანს კი ვერ მოგიცდის,
შენთან რომ მოსწყინდება,
ცმუკვა, ხტუნვა-ტრიალით
სხვაგან გადაფრინდება,

და კვლავ ფუსფუსს დაიწყებს,
თვალებს აქ-იქ აცეცებს,
აქ. ხეხულას აშენებს,
იქ რაღაცას დაეძებს.

მხოლოდ საღამოს ბინდი
მთა-ბარს რო მიაწყნარებს,
ისიც იგრძნობს მოქანცვას,
და ნელ-ნელა ამთქნარებს;

მალე ლოგინს მონახავს,
ჩაწვება, ჩაიძინებს,
ძილშიც რაღაცას ამბობს,
ხან ტკბილად გაიცინებს.

ი. სიხარულიძე.

ერთგულობა.

ყველამ ვიცით, რომ ძაღლი განთქმულია თავისი ერთგულობით. რასა ჰქვიან ერთგულობა? რაში გამოიხატება ამ ოთხფეხა პირუტყვის ადამიანისადმი ერთგულობა?

რაში და იმაში, რომ იმას უყვარს თავისი პატრონი, უყვარს მისი ცოლშვილი, იმისი სახლ-კარი, იმისი საქონ-საოლი.

რად ერჩის ძაღლი მისი პატრონის კარზე მოსულს უცხო კაცს?

იმიტომ რომ მტერი ჰგონია, ჰფიქრობს, რომ მის პატრონს რასმე დაუშავებს.

შინ არის კაცი—ძაღლიც კარზედ წევს, წავა და—თან გაჰყვება. თუ მის პატრონს საქონი ჰყავს ძროხა და კამბეჩი, ან ცხვარი და ღორი—ძაღლი საქონს არ შორდება, დღეც საქონს უვლის, ღამეც. დაკარგულ ძროხას ჰპოულობს და მოჰყავს სხვა საქონთან. პატრონს რომ დაეძინება, ძაღლი მიდის და შინაურ ცხოველებთან ათენებს. მთელი ღამე სულ ჰყეფს და ჰყეფს, მხეცსა და ნადირს აფრთხობს. ამაზე იტყვიან: „ძაღლი თეოზედ არისო“. ვითომ საყარაულოზე უთევს, ანუ „ფხიზელი ათენებსო“. მაშინ ძაღლი ძალიან იღლება და განთიადზე, სინათლე რომ ჩავარდება სიფრ[illegible],

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაგრად დაეძინება. ეს კარგად შეგნებული აქვს მეელს, რომელიც რაიჟრაჟზედ ეცემა და აზარალებს ცხვარ-ძროხას, საქონს. ცხვარ-ძროხის პატრონები ძაღლებს ქატოს და ფქვილს აჭმევენ თბილ წყალს დასხმულს. ზოგი დღე-ღამეში ერთხელ ძლივს აძლევს ამ უბირს საჭმელს, ზოგჯერ ძაღლს ეს ულუფაც აკლია და რამდენიმე დღეობით მშიერი არის, მაგრამ ის მაინც ასრულებს თავის მოვალეობას; მაინც დარაჯობს პატრონს და მის სარჩოს. კარგი ძაღლი არ ერჩის მანდილოსნებს და ბალღებს; არ იღებს სხვის დაერილ ბურს, ხორცს და სხვა სანოვაგეს. ალბად იმიტომ, რომ, თუ პატივისცემას მიიღებს, მაშინ არც უნდა ერჩოლოს, და ეს ხომ პატრონის დაღუპვა იქნება, რადგანაც მბარავი და მტაცებელი კაცი ხორცით და ბურით ცდილობს ძაღლის მოთვინიერებას. აჰ, რამდენი კაცი ისწავლიდა ჭკუას ამ პირუტყვისაგან, დანახვა რომ იცოდეს.

იმ ძაღლს, რომელზედაც უნდა მოგითხრობთ, ალმასა ერქვა. მის პატრონს მწარიას ეძახდნენ, ფშაველი იყო და მთაში სცხოვრობდა. მწარიას ოცი ოდე სული მსხვილფეხა ოთხფეხი ჰყავდა: ექვსარი ხარი, ათი ფური, დანარჩენი მოზვერი და დეკეული იყო თითო-ოროლა წლისა. პატრონს შვილები ჰყავდა, ქალ-ვაჟები. ამათ ალმასა ძალიან უყვარდათ, ალმასას კიდე—ისინი. როცა ეძაწვილები ბრალსაში დადიოდნენ, ალმასას თან იყოლებდნენ. თუ ბალღებს შორეულ მეზობელთან ჰგზავნიდნენ, იმათ ალმასაც თან მიჰყავდათ. თუ გზაში ძაღლები დაეტყვებოდნენ და ბალღებისკენ საკბენად მიიწევდნენ, ალმასა ერთ წამში ეტაკებოდა იმათ. ვიდრე ალმასა და ის ძაღლები ერთმანერთს ებრძოდნენ, ეძაწვილები კარგა მანძილს

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაიგლიდნენ. მერე დაეწყოდათ მათ ალმასა და ნიშნად ხიყვა-
რულისა ბავშვებს მხრებზე წინა ფეხებს ადგამდა, სახეზე
ენას უსვამდა. ბალღებიც თავის ერთგულ მეგობარს ხშირად
ან დრუნჩზე ჭკოცნიდნენ, ან და ლამაზს შავს თვალებზე. ხან
ალმასა მშვიდობით გადარჩებოდა ხოლმე მეეფრების ომს,

ხან კი დაკბენილი და დასისხლიანებული იყო. თუ გზაში
დაუღამდებოდა, ბავშვებს წინ იეენებდა, თვითონ უკან მიჰყვე-
ბოდა, სანამდის სახლს ათს, თხუთმეტს საჟენზე არ დაუა-
ხლოვდებოდნენ, მხოლოდ მაშინ კი წინ გადახტებოდა, შეგი-
დოდა კარებზე სასისარულო ამბავი მიჰქონდა.

—მოვედით: ბავშვები მშვიდობით მოდიანო. თუ პატრონის
ცხენი საღამოზე სადმე მოეუარებოდა, ძაღლი იმდენს იგლი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

და, სანამ არ იპოვნიდა და როცა ცხენი მოვნას ეფეშქაშებდა და დადგებოდა, ან დაწვებოდა, ძაღლიც ახლო უწვებოდა. ვაი იმას, ვინც ცხენს ახლოს გაუვლიდა, ამ დარაჯობით ბევრჯერ გადაარჩინა ალმასამ პატრონის „წითლა“ ქურდებს და ავაზაკებს!

პატრონი ალმასას ბევრჯელ უსამართლოდ კიდეც სცემდა, კიდეც უჯავრდებოდა, მაგრამ ის არ იბუტებოდა, პატრონს არ ჭოალატობდა; სახლ-კარს არ ეშვებოდა: ოჯახს, ძროხას და შინაურ ფრინველს ჭარაულობდა. მტაცებელ ფრინველზედაც თვალი ეჭირა. თუ შინ იყო, ქორს, მერას, შეკარდენს და არწივს შინაურ ფრინველს არ წაალებინებდა. თავის ოთხფეხს ან შინაურ ფრინველს იცნობდა. თუ იმათში სხვისი გამოერეოდა, მიესეოდა და გააგდებდა. თუ მის პატრონის სახლის მახლობლად სხვათა ცხენი, ძროხა და სხვა შინაური ოთხფეხი გაივლიდა, ალმასა დაეტეეებოდა და განდევნიდა იმ არემარედან.

II

ალმასას მხედველობა და ყნოსვა ფრიად განვითარებული ჭქონდა. ამიტომ ის ბნელ ღამეში კარგად ჭხედავდა; როცა მისი პატრონი ბნელაში ბრმასავით იყო, ალმასა შორსა და ახლოს საგნებს ნათლად არჩევდა და, თუ სიფრთხილე იყო საჭირო, ხმას სტეხდა. შორეულს—ჭეეფდა, ახლოურს—ერჩოდა.

ალმასას პატრონი მწარია ხანდახან სანადირო დადიოდა ძაღლს კი არ იყოლებდა.

ალმასა მხოლოდ მაშინ მიჭეავდა, როცა დაჭრილი ნადირი დაემალებოდა. ალმასას დაჭრილი ნადირის კვალზე აეე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნებდა, და ის სუნით ძალე ჰოულობდა. როცა დათვს უნდა ენადირნა, მხოლოდ მაშინ კი მიჰყვანდა ალმასა. დათვი ჩირგვნარში, წვრილიანში, ანუ წვრილ, ხშირს ტყეში წვება, ან კლდის მაღაროებში, რომლებსაც სხვა რიგად ეხი, კვარიხი და გამოქვაბული ჰქვიან. დათვი, როცა კვალი არა სჩანს და ზაფხულია, მნელი საპოვნია. მაგრამ ძაღლი სუნით ადვილად იგებს; ეეფას ან რჩოლას უწუებს. ჰატრონი მიეშველება და, თუ ივარგა, დათვი ცოცხალი ვეღარ გადაურჩება მონადირეს და მის ძაღლსა.

იმ მიუდგომელ ადგილებს, სადაც დღისით დათვები წვებიან, „სადათვეებს“ ეძახიან.

ერთხელ მწარია სადათვეში წავიდა სანადირონ. ძაღლიც უნდა გაეყოლა, მაგრამ არსად სჩანდა, მონადირემ დაიწყო წვრილიანში და კვარიხებში ძვრომა. ამ დროს ბევრს დათვის საწოლს, ანუ „თეგრს“ შეჰხვდა, მაგრამ ახალი კვალი ვერა ნახა. ბოლოს ახალ ნავალს მიაგნო. ეტყობოდა, რომ დათვი ახლო-მახლოს უნდა სადმე წოლილიყო. მონადირე ქვევიდან ზევითკენ მიდიოდა. დილა იყო და ნიავი მთიდან ბარისკენ მოსისინებდა. ნაწვიმი იყო, და არც ფეხი ჩქარობდა. მონადირე წვრილიანში წაკუზული მიძვრებოდა. უცებ მის წინ შავი ლანდივით დათვი აიმართა და საშინლად დაიღმუვლა. მზეცს გაქცევა უნდოდა, მაგრამ საითკენ აეღო გეზი?—აღმა მოსახერხებელი არ იყო, რადგანაც სალი კლდე ეეუდა. თუ გაქცევა იყო, ისევ თავჩაღმა უნდა გაქცეულიყო. აქ კი გზას კაცი ულობავდა. დათვი უკანა ფეხებზე შედგა, ლაში დაადო და ის იყო მონადირეს უნდა სცემოდა, რომ ამ დროს იმას უკანიდან ძაღლი ეტაკა, დააჯდა გავაზე და დაუწყო ჯენჯა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეს ალმასა იყო.

პატრონი რომ შინ არ დახვედროდა, კვალზედ გამოსდგომოდა, საბედისწერო წუთს მოასწრო, თავი გასწირა და ერთიასად ძლიერ მხეცს ეცა. დათვი საკბენათ ძაღლს მიუბრუნდა.

ძაღლი მოეშვა და უკან გასტა. ამ დროს მწარიას თოფი მოაგონდა. დათვმა რომ ისევ მონადირისკენ მოწევა გაიზრახა, ძაღლმა თავისი იერიში განაახლა და მხეცი ისევ იმას მიესია. ამ დროს იგრიალა თოფმა. დათვმა საცოდავად დაიბღავლა და თავდაყირა კლდეზე გადაეშვა. ძაღლი წკმუტუნით პატრონთან მივარდა და ხტუნვით შინ გაუძღვა. დათვს ტყვია წელში მოჰხვედროდა, ფეხზე ვეღარ დგებოდა და საცოდავად ბალახიან მიწაზედ ეთრეოდა. მონადირემ დათვს კიდე ერთი ტყვია შესწირა, რომ თავში მორტყმით მისი სიცოცხლე დაეთავებინა. მკვდა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რი დათვი მწარიამ გაატეავა აკაფა და ხეზედ შეჭკიდა. წავიდა, მერე ცხენი მოიყვანა და ქვევით ხეობის პირზე დაბა; ხორცი და ტეავი იქ ჩაზიდა, აჭკიდა ცხენს და შინ წაიღო.

როცა მწარია ამ დათვის მოკვლაზე ვისმე უამბობდა, იტეოდა ხოლმე: ,,დათვს ზედ შევვარდნოდი; იმის ანაზდად წამოხტომამ და ღრიალმა ისე შემზარა, რომ თოფი დამვიწყებოდა და, რომ ამ დროს ალმასა არ მოვარდნოდა და იმას არ დაებრუნებინა, გაგიჟებული მხეცი გამდერღავდა და იქნებ წუთისოფელსაც გამომასალმებდაო''.

III

მწარიას მთაში მამული ცოტა ჭქონდა, საკმაო პური არ მოსდიოდა და სულადს ეოველ წელს ეიდულობდა, რომელიც ზოგი კახეთიდან მოჭქონდა, ზოგი მაუგიდან და ზოგი ქართლიდან. ბოლოს რომ პური აღარსად იშოვებოდა, კახეთში ჩავიდა. რესპუბლიკის მთავრობამ მწარიას საკმაო მამული მისცა; დაიწეო ხნვა-თესვა, გაიკეთა სახლი. სანამდის სახლ-კარით მოეწეობოდა, ცოლშვილი ისევ მთაში ჭეავდა. როცა კაცისა და ძროხისთვის ბინები დაამზადა, მწარიამ მთაში უფროსი, ოცი წლის ვაჟი გაგზავნა და დაბარა ჯალაბობაც წამოესხა და ძროხაც. იმისმა შვილმა ჯალაბობა და ძროხა წაასხა, მაგრამ ძაღლს კი მოკვლა დაუპირა. თან აღარ იეოლებდა.

—ძაღლი, უფრო ლეკვი, მეორეცა გვეავს,—ამბობდა:—ეს ძაღლი ხანშიაც არის შესული, სხვაც რომ არა იეოს რა, ორი ძაღლის საჭმელი ჯერი ვისა აქვსო?

მეზობელმა უთხრა:

—ცოდვაა მაგ მეეფრის მოკვლა. თუ თქვენ აღარ გინდათ მომეცი, მე წავიევან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თუმცა ბატარა ნინომ და გიგლამ ბევრი იტირეს, ალმასას სხვას ნუ ამლევთო, მაგრამ იმათი ტირილი ძმამ არ გაიგონა და ალმასა მეზობელს აჩუქა. მეზობელმაც ძაღლს ყელზე საბელი ჩაუდვა და შინ წაიყვანა. სახლი და მისი გასაღებიც მწარიას უფროსმა ვაჟმა იმავე მეზობელს ჩააბარა. როცა შვილი კახეთს ჩავიდა, მამამ ჰკითხა:

—ძაღლი რაღა უყავიო?

შვილმა უთხრა, ვისაც აჩუქა. მამას ძალიან ეწყინა.

მწარიას მთაში სახლი გაუყიდავი დაჭრჩა. როცა ცოლშვილი ჩამოუვიდა, ოვითონ ცხენი შეკაზმა. წავიდა მთაში სახლის გასაყიდად. მისი ძველი სოფელი მთათა შუა იყო გაშენებული. კახეთიდან მიმავალი მთაზე, რომ შედგა, გადაჰხედა თავის სოფელს, გული აუტოკდა და სთქვა: „ჩიტი სადაც გაიზრდება, იმის ბაღდადი ის არისო,“ ტყუილად-კი არ უთქვამს მამა ბაბას. კახეთმა ხომ მუცელი გამიძღო, იქ შრომა გამიადვილდა, მაგრამ ეს მწირი არე-მარე ისევ მირჩევნია კახეთსაო. ფშავეთში სახლები ახლო-ახლო არ იდგა. ხალხის ყველა მკომური ხშირად ცალკე დგას და მეზობლამდე ბევრჯელ ერთი, ორი, სამი, ხუთი და მეტი ვერსია გასავლელი. მწარია იმ მეზობელთან ჩამოხტა, რომელსაც მისმა შვილმა ძაღლი მისცა და სახლის გასაღები ჩააბარა. მეზობელს იმედა ერქვა.

მშვიდობა-ამბვის კითხვის შემდეგ მწარიამ ძაღლი მოიგონა.

იმედამ უთხრა:

—ძაღლი აქ ვერ დავაყენე, როცა გავუშვით, წავიდა და თქვენს სახლს ვერ მოვაშორეთო; დღე და ღამე იქ არის და საცოდავად ღმუის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მწარია წავიდა თავის სახლის გასაყიდად.

უპატრონოდ დარჩენილმა სახლ-კარმა, რომელის ახლოსაც შვილიკვით მზრუნველობით ნასარდი ნამუენები იდგა, მასზე ისე იმოქმედა როგორც მოქმედებს კაცზე ობლად დარჩენილი ჰატარა ბავშვი... შორსვე მოესმა ძაღლის გულსაკლავი ყმუილიც და მწარიას უნებურად ცრემლები გადმოსცივდა. ცხენი ააჩქარა და, სანამ კარზე მივიდოდა, ალმასას ძახილი დაუწყო: ძაღლი გაჩუმდა ამ ხმის გაგონებაზე, ეურები დაცქვიტა. ამ დროს ჰატრონმა ცხენიც გააჭენა. ალმასამ შორიდანვე იცნო ჰა-

ტრონი და მისი ცხენიც და წინ მოეგება. სანამ მწარია ცხენიდან ჩამოვიდოდა, ძაღლმა ცხენს წინ და უკან ვლა და ტოტაობა დაუწყო, თან წკმუტუნებდა.

მწარიამ სახლი გაუიდა, წავიდა კახეთს და ალმასაც თან

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაიფოლა. მთაზე რომ შედგნენ, ძაღლი წინ გაუძღვა და მწვანე ბალახით შემოსილ ბუსნოებზე მხიარულად მიმუნძულებდა. მწარიას კი გულს სევდა შამოაწვა და, სანამ სჩანდა. თავის ნასახლარს გასცქეროდა. როცა სახლი მთას უნდა მოფარებოდა, მწარიამ მკვდრის ჰატრონივით დაიკვნესა, ქუდი მოიხადა და დაიძახა.

—მშვიდობით ჩემო ემაწვილობის სამშობლოვ, მშვიდობით ჩემო სოფელო და სახლო; მშვიდობით ჩემო ნაცნობნო და ნათესავნო და მეზობლებო.

მშვიდობითამცა. სართ თქვენც მთანო მაღალნო და, თვალცრემლიანმა მთას იქით გადააფარა თავისი ნაბდის ქუდი და თეთრად ჭაერში მოფრიალე ყაბალახის ტოტი...

ბაჩანა.





ეროვნული ბიბლიოთეკა

ნაპოვნელა

(დასასრული)



ერ სართულიან სახლის წინ, რომელიც გაშენებული იყო სოფლის განაპირა, უშველებელი ნიგვზის ხე იდგა. მის გვერდით მშვენიერი ანკარა წყარო გამოჩუსჩუსებდა.

კოპწია ტანისამოსში გამოწყობილი ათი წლის გოგონა ლიტრით ხელში მოჰიდა წყაროზე წყლის ამოსაღებად. უეცრად შედგა და გიშერა თვალები იქვე წყაროს პირას ჩრდილ ქვეშ მწოლიარე ბავშვს მიაპყრო. ცოტა მოშორებით-კი იდგა თხა და გაჩქარებით სწიწკნიდა ბალახს.

—ვიშ, რა მშვენიერი უმაწვილია! ნეტა ჩემი ძმა იყოს,— ჩაილაპარაკა ჩუმად და ფეხაკრეფით მიუახლოვდა ნაპოვნელას. ნაპოვნელას ტკბილად ეძინა. მარჯვენა ხელში წერილი ეჭირა.

ქალმა ჭურჭელი მოშორებით დასდო, მიუახლოვდა ნა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჰოვნელას და შავ-ხუჭუჭ თმას ოდნავ ხელი შეახო; ჭეტლ-ბის მოუვარეობამ საფიქრიბელში ჩააგდო, მაგრამ როდესაც წერილზე დაწერილი მამის ხელი იცნო, გამოართვა და გულის კანკალით შინჯვა დაუწყო. წერილი მისი დედის სასელზე იყო.

საჩქაროდ გასსნა, წაიკითხა ერთხელ, ორჯელ და არა სჯეროდა. ჰკვირობდა, ნუ თუ მამა ასეთი სასტიკი და გულქვა კაცია, რომ ამ მშენიერ ემაწვილს სიცოცხლე უნდა მოუსპოსო. წერილი დახია და წყალს მისცა. საჩქაროდ შეგარდა ოთახში, დასწერა მეორე წერილი, მიარბენინა ნაპოვნელასთან, ჩაუდო ხელში და წუნარად გააღვიძა.

—წამოდი ჩვენსა. ეს დედას წერილია? მამამ გამოგატანა?— შეეკითხა მოღიმარი.

ნაპოვნელას შერცხვა, გაწითლდა და თავი დაბლა დასარა.

—რა, შეგრცხვა?

—არა... ქალო, შემრცხვა იმაზე, რომ დროზე ვერ მიუტანე წერილი შენ დედას.

—ნუ შეგრცხვება და ნურც ინანებ. შენ ხომ არ იცი რაზე გარჯილხარ?

—არა!

—მაშ წავიდეთ სახლში და დედას უამბოთ ყველაფერი. რამდენიმე ხნის შემდეგ ორივენი, აქეთ-იქით უსხდნენ დედას და ტკბილი ლაპარაკით ერთმანეთს ართობდნენ. ერმას ეალერსებოდნენ და მის ვინაობას დაწვრილებით იგებდნენ.

—როგორ გაბედე და ჩემი წერილი დახიე, თან უსირცხვილოდ მეუბნები, შენი წერილის ბადლათ ჩემი წერილი გავა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტანე დედასთანაო.—ეჩხუბებოდა სოფლაგარი თავის ქალს.

—მამი, დაწყნარდი და ეველაფერს გიამბობ, შენი წერილი სასტიკი იყო მამი, ძალიან სასტიკი.

შვილის ტკბილმა ლაპარაკმა თითქმის მოალბო სოფლაგრის გული, იგი გაჩუმდა და გულის ეური ქალს ათხოვა, მაგრამ გუნებაში სულ სხვას ფიქრობდა.

—მამი,—განაგრძნო ქალმა,—იმისთვის ღუპავ ნაპოვნელას რომ ლამაზია?

სოფლაგარს ჩაეცინა, მაგრამ თავი შეიკავა.

—ვიცი აპატიებ, გენაცვალე მამილო, ჩემი ძმა იყოს. ის ხომ კეთილია, კარგი, ლამაზი, ჭკვიანი.

—კარგი შვილო, მხოლოდ...

—რა მხოლოდ!..—ვეღარ შეიმაგრა თავი და აქვითქვითა ქალი. მამამ თავი მიანება, გარედ გამოვიდა, მაგრამ მალე შებრუნდა ოთახში, დაამშვიდა და უთხრა, მოჯამაგირესთვის დაემახნა. ცოტა ხნის შემდეგ მრისხანე ბატონის წინ იდგა ლმობიერი მოჯამაგირე და ბრძანებას ელოდებოდა.

—ბიჭო მოხვედი?

—დიახ, ბატონო, რას მიბრძანებთ?

—შენ რასაც გიბრძანებ შემისრულებ?

—ვეცდები.

—აქ რომ ქურდულად ბავშვი შემოგვეპარა, ეშმაკურად რომ შემოგვეტეუა, უნდა მომაშორო, გესმის?

მოჯამაგირე სდუმდა.

—ალაზანის ჰირას სიმინდი რო გვიდგა, ნაშეში, იქ უნდა წახვიდე სალამოზე, თან წაიყვანე ნაპოვნელაც და ლოგი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნი წაიღე, იცოდე ლმობიერად მოეპყარი და ბატონი უძახე ვიდრე წყალში გადააგდებდე.

—წყალში?—გაკვირვებით შეეკითხა მოჯამაგირე.

—მოშორება მე მგონია ამას ჰქვიან. მხოლოდ კრინტი.

მოჯამაგირემ თავი ჩაღუნად და უჩუმრა გამოვიდა გარედ. შემოღამდა. ალაზნის სიომ გაისისინა და წულის დუდუნს ჩაექსოვა გამაგრილებელი. მისწედა ადამიანთა ფეხის ხმა და ფრინველთა სტვენა-გალობა. ყველა თავის კერაზე დაბინავებულნი ისვენებდნენ განთიადთან შესახვედრად.

ნაპოვნელაც წამოწვა ლოგინზე, მაგრამ ამ დროს მივარდა თხა და რქებით დაუწყო ჯირჯგნა. ბევრს ეწვალა ბიჭი თავიდან მოეშორებინა აღელვებული თხა, მაგრამ ცდამ ამაოდ ჩაუარა და, სანამ ნაპოვნელა უკან არ დაიდევნა, არ მოეშვა.

სოფდაგარი ახლა-კი დარწმუნებული, რომ მემკვიდრე მოეიშორეო, ადგა და გაჩქარებით წავიდა სიმინდში. ნახა ცარიელი საწოლი და სიხარულისგან ფეხზედ აღარ იდგა.

ძალიან დაღლილიყო, ძილიც მოერია და იქვე წულის პირას გაშლილ ლოგინზე მიწვა და მიიძინა.

შუაღამე რო გადისარა და მრავალი იცის სივრცეში აიმეწკვა, სწორედ ამ დროს გამოეღვიძათ მოჯამაგირეებს, და შესწუხდნენ რომ დროზე ვერ შეასრულეს ბატონის ბრძანება.

ეცნენ და მძინარე ლოგინით წყალში გადაუძახეს. მწარე სარსარი ღრმად ჩასწვდა აბობოქრებულ ტალღებს. აქაფებულმა ალაზანმა მსხვერპლი გულს ჩაიკრა და გაჰკრა ქვეით ვით გამხმარი ხის ტოტი ქარისგან ჩამოვარდნილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გავიდა რამდენიმე ხანი, მდიდარი სოვდაგარი ეგველამ გამოიმგლიეა, მის ოჯახის ბედნიერებას ნაპოვნელას მხნეობა და ვაჟკაცობა ფრთებს უსხამდა. ნაპოვნელა სოვდაგარის ბატარა ქალის, დობილის და მისი დედის ნუგეშად და სანუკარ შმად და შვილად გამხდარიყო. ნაპოვნელას მზეს ფიცულობდნენ და მას ესიყვარულებოდნენ.

გ. კოლელიშვილი.



მჭედელი.

თელი დღე ქურაზე ვარ,
მიჭირავს ხელში კვერი;
ცეცხლის ალზე ვტრიალებ
და გულში ასე ვმღერი:

თუ რკინა არ გავკვერე,
არ დავბირე სახნისი,
უიმისოდ გუთანი
იქნება უმაქნისი.

მიწა არ მოიხვნება,
ალარ მოგვიდა ბური,
ზამთარში უბზეობით
დაიმშვა სარ-ფური.

სახნის-საკვეთის წკეპა
მჭედლის სამსახურია
და ჩემი ცეცხლზე დაწვაც
ჩემი ლუკმა ბურია!...

შიო მღვიმელი.

ქათმები და ცხენი.

(იგავი)

ჭაა-კა-კა-კა! კაა-კა-კა-კა! კაა-კა-კა-კა!—გაიძახოდნენ ქათმები ეზოში ლხინისა და ზეიმის ნიშნად ისე ძლიერად, რომ მათი ყრიამულისაგან ეურთა სმენა აღარ იყო.

—რა ამბავია? რა მოხდა ისეთი, რომ მაგ დაუბოლოებელ კაკანით მთელი ეზო ფეხზე დააყენეთო,—იკითხა განცვიფრებულმა ცხენმა, რომელიც იქვე ხეზე გამობმული იდგა.

—რაგორ თუ რა ამბავია!—ამაყად მიუგო მკვლმა დედალმა,—ისე აწეულა ჩვენი ფასი, რომ გუშინ ბაზარზე ერთი ქათამი ორას მანეთად გაყიდულა.

—ჭკუის კოლოფნო, უბადრუკნო!—მიუგო ცხენმა,—სიხარული და დღესასწაული ჯერ გამეიდვილსა მართებს, ვინც ფულები ჩაიჩხრიალა, და მერე იმას, ვისაც იმ ძვირფასი ქათმის გემრიელი ჩიხირთმა ანუ ჩახოხბილი მოელისო.

ალ. მირიანაშვილი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ჩვენებური ფრთოსნები.

მოლაღური.

ჩვენებურ ფრინველთა შორის მოლაღური ყველაზე ლამაზია. ტანად შოშიას ოდენაა. მოლაღურს ფრთები და კუდი შავი აქვს, ტანი კი — ყვითელი. დედლის ტანზე ყვითლის მაგიერ, მომწვანო ფერი სჭარბობს.

მოლაღური ჩვენში მხოლოდ საფხულს ატარებს, შემოდგომაზე კი გადაფრინდება ხოლმე ამერიკაში. გაზაფხულზე, აპრილის დამდეგს, მოლაღური უბრუნდება შემოდგომაზე მიტოვებულ ადგილებს და თავისი „ბიჭო გოგიათი“ გვატყობინებს დაბრუნებას.

რჩეული ალაგები მოლაღურისა არის დიდრონი ბაღები და ტყის პირები; აქ სახლდებიან მოლაღურები წყვილ-წყვილად, დედალ-მამალი, და განუერელად სცხოვრობენ, ვიდრე გამოსჩეკავენ და დაზრდიან ბარტყებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საბუდრად ამორჩეულ ბინის ახლო მდებარე ალაგებში მოლაღური სხვა მოლაღურებს არ უშვებს და დიდის სიძაბაცით ებრძვის ახლად მოსულებს. ამ ბრძოლაში მონაწილეობას იღებენ მხოლოდ მამლები. ეს მოვლენა შეიძლება აიხსნას იმ გარემოებით, რომ ეს ჩიტი ძალიან მჭამელია და ამიტომ აგდებს მეტოქეს.

მოლაღური ფრთხილი ფრინველია და სცდილობს ადამიანს არ დაენახვოს. ბუდეს მაღლა ხეზე იკეთებს, ხშირად ოცი არშინის სიმაღლეზე. თვით ბუდე ოსტატურად აქვს გაკეთებული, შიგ ჩაქსოვილია მატელი, ბალახი, ძუა, ხის ქერქი და სხვა. ბუდეში მოლაღური 4—5 თეთრს, მხოლოდ წაბლის ფრად დაწინწკლულ კვერცხსა სდებს. ორი კვირის შემდეგ იჩეკებიან უბუმბულო და თვალდახუჭული ბარტყები. კვერცხებზე, ჩეკვის დროს, ხან დედალი მოლაღური ზის, და ხან მამალი. გამოჩეკვის შემდეგ ორთავე მშობლები დიდ ამაგს ეწევიან ბარტყების გამოკვებაში.

მოლაღურები გაზაფხულზე, უმთავრესად იკვებებიან მწერებით და ამით მოაქვთ სარგებლობა. მაგრამ, როცა ბაღებში დამწიფდება ხილი მოლაღურები ესვევიან თუთას, ალუბალს, ბალს და ამით აზიანებენ ბაღებს. სანამ ბატარები კარგად არ მოიზრდებიან, დედ-მამა მათ არა შორდება. მარიამობისთვის დამლევს მოლაღურები ბატარ-ბატარა გუნდებად მიდიან აფრიკისაკენ.

პ. საყვარელიძე.

სახუმარო გამოცანა.

რა არის ის რაც ჯერ არავის არ უნახავს.

შეკრებილ ბავშვებში თამაშობის დროს ერთი ამბობს, რა არ
რაც ჯერ არავის უნახავს და შემდეგაც ვერ ნახავს? ყველას გაუკვ
ბა რა უნდა იყოს ეს. მაშინ უნდა გამოიტანოთ თხილი, გასტეხოთ
ვენოთ გული და უთხრათ,—აი თხილის გული ჯერ ხომ არავის უნ
და შემდეგშიაც ვერ ნახავთ,—და შეჭამოთ.

ჰაწია რებუსები.

1.
„ 2. მ,

3. , , ე 4. თ ე , ,

მე-3 №-ში მოთავსებულ რებუსის ახსნა:

ყვავილი ვარ პატარა, მეძახიან იასა.